EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

საქართველოს წინაშე არსებული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები

2026, მარტი

EPRC

Economic Policy Research Center

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა

ამ დოკუმენტის მიზანი საქართველოს წინაშე არსებული ძირითადი საფრთხეების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების, ასევე არსებული პოლიტიკის მიმოხილვაა. ამას გარდა, დოკუმენტი სთავაზობს საზოგადოებას რეკომენდაციებსა და მოსაზრებებს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მდგრადი, პროგნოზირებადი და ეროვნული ინტერესების შესაბამისი მიმართულებით განვითარებაზე.

ძირითადი გამოწვევები

უკანასკნელი წლების განმავლობაში, განსაკუთრებით კი უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს უსაფრთხოების გარემო. ოკუპანტმა სახელმწიფომ გააძლიერა ჰიბრიდული ზემოქმედება საქართველოს წინააღმდეგ, რაც ერთდროულად მოიცავს როგორც სამხედრო-პოლიტიკურ ზეწოლას, ისე საინფორმაციო, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, კორუფციულ სქემებს, ფინანსურ და პოლიტიკურ მანიპულაციას. საქართველოს ტერიტორიების „მცოცავი ოკუპაციისა" და „ბორდერიზაციის" პროცესის ფონზე, ქვეყანა ანტიდასავლური პროპაგანდის თვისობრივად გაძლიერებულ გავლენას განიცდის. ეს აგრესიული კამპანია, ძირითადად მიმართულია საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული, პროდასავლური საზოგადოებრივი კონსენსუსის დასუსტებისკენ, საზოგადოებაში შუღლის, რადიკალიზაციისა და დაპირისპირების გაღვივებისკენ.

სისტემატური დეზინფორმაცია და პროპაგანდა ევროპასა და შეერთებულ შტატებში ღრმა და კატასტროფული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კრიზისის და ეროზიის თაობაზე რომელიც ვრცელდება ხელისუფლების მხრიდან და ხშირად თანხვედრაშია კრემლის პროპაგანდისტულ გზავნილებთან, ასევე ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული სისტემის სწრაფი უკუსვლა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების უკიდურესი შეზღუდვა, პოლიტპატიმრების არსებობა ანადგურებს ჩვენი ქვეყნის რეპუტაციას, აკარგვინებს მას მოკავშირეებს და ასუსტებს მის მედეგობას.

ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დეზინფორმაციულ გზავნილებზე ობიექტურ, კარგად არგუმენტირებულ და ფაქტებზე დაფუძნებულ რეაგირებას, ასევე ობიექტური ნარატივების შექმნას, რომელიც შეესაბამება ქვეყნის ინტერესებსა და არსებულ რეალობას.

უსაფრთხოების გარემო და ძირითადი ცვლილებები

1. ამერიკის შეერთებული შტატების გლობალური სტრატეგიის გადახედვა

ამერიკის შეერთებული შტატები ახდენს სტრატეგიული ფოკუსისა და რესურსების გადანაწილებას. ეს არ არის მხოლოდ მოქმედი ხელისუფლების (ამერიკის ამჟამინდელი ადმინისტრაცია) ერთჯერადი გადაწყვეტილება, არამედ გრძელვადიან სტრატეგიას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ ეს არ გულისხმობს აშშ-ს „გასვლას" ევროპიდან, ან ტრანსატლანტიკური ალიანსის შესუსტებას. აშშ დარჩება საკუთარი ვალდებულებების ერთგული ნატოს ფარგლებში.

ამასთანავე, იკვეთება აშშ-ის სტრატეგიული პრიორიტეტების რეორიენტაცია: ევროპული მიმართულებით რესურსების შემცირება და ყურადღების კონცენტრირება ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონზე, სადაც ჩინეთი უმთავრეს სისტემურ მეტოქედ მოიაზრება. ეს ვითარება ევროპელი მოკავშირეებისგან საკუთარ უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე მეტი პასუხისმგებლობის აღებასა და რესურსების გრძელვადიან მობილიზებას მოითხოვს. ამავდროულად, მოსალოდნელია ე.წ. სტრატეგიული ბუნდოვანების მიმართ შემწყნარებლობის შემცირება და მოკავშირეებისგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მოთხოვნა.

პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ ქვეყნები, რომლებიც აღიქმებიან არაპროგნოზირებად, არათანმიმდევრულ ან სტრატეგიულად ამბივალენტურ ქვეყნებად, ნაკლებად მოხვდებიან გრძელვადიანი პოლიტიკური ყურადღების, ინვესტიციებისა და უსაფრთხოების პრიორიტეტების არეალში.

მიმდინარე ტენდენცია აჩვენებს, რომ უახლოეს მომავალში ევროპელი მოკავშირეები მკვეთრად გაზრდიან თავდაცვის ხარჯებს და საკუთარი შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გააძლიერებენ. მაგალითად, ესტონეთის თავდაცვის ბიუჯეტი 2015 წელს 463 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. ზუსტად ათი წლის განმავლობაში, საფრთხეების ზრდასთან ერთად, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2025 წელს 1 მილიარდ 504 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 3.38 პროცენტია.

ლიეტუვას თავდაცვის ბიუჯეტი 2015 წელს 471 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც მშპ-ს 1.13 პროცენტი იყო. ათი წლის განმავლობაში ლიეტუვამ თავდაცვის დაფინანსება თითქმის რვაჯერ გაზარდა და 2025 წელს ბიუჯეტი 3 მილიარდ 607 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც მშპ-ს დაახლოებით 4 პროცენტს წარმოადგენს.

თვალსაჩინო ზრდის დინამიკა აქვს ლატვიასაც. 2015 წელს ლატვიის თავდაცვის ბიუჯეტი 282 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც მშპ-ს 1.07 პროცენტი იყო. ათი წლის განმავლობაში ბიუჯეტი თითქმის ექვსჯერ გაიზარდა და 2025 წელს 1 მილიარდ 653 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, ანუ მშპ-ს 3.73 პროცენტს.

მსგავსი ტენდენცია ნატოსა და ევროკავშირის პრაქტიკულად ყველა წევრ სახელმწიფოში შეინიშნება. ეს მიუთითებს, რომ ევროპამ სრულად გააცნობიერა მის წინაშე არსებული საფრთხეების სიმწვავე და გადამწყვეტ ნაბიჯებს დგამს შეკავებისა და თავდაცვის გაძლიერების მიმართულებით.

ეს პროცესი ჩამოაყალიბებს თვისობრივად უფრო მძლავრ და ქმედითუნარიან ევროატლანტიკური უსაფრთხოების სივრცეს, სადაც ალიანსის წევრთა ჯამური ხარჯები თითქმის გაორმაგდება. ამ ფონზე, საქართველო კრიტიკული არჩევანის წინაშე დგას: გახდეს ამ ახალი უსაფრთხოების სისტემის ნაწილი ან დარჩეს იზოლირებული მიმდინარე გლობალური ცვლილებების მიღმა.

2. რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესია უკრაინის წინააღმდეგ

2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა სრულმასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ საბოლოოდ დაარწმუნა ევროპული და ამერიკული პოლიტიკური წრეები, რომ რუსეთი რევიზიონისტული, იმპერიალისტური ძალა და ევროპული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მთავარი საფრთხეა.

ოკუპაცია, ტერიტორიული დაპყრობა, კორუფცია, პროპაგანდა, კიბერთავდასხმები, საბოტაჟი, ჰიბრიდული ომის სხვა მეთოდები და ძალის სისტემური გამოყენება რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის პერმანენტული ინსტრუმენტია. ეს ინსტრუმენტები დროებითი არ არის - ისინი გრძელვადიანი საფრთხეა და მოითხოვს მუდმივ, სტრატეგიულ რეაგირებას. უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების ინტენსივობის ცვლილების შემთხვევაშიც კი, სავარაუდოდ, დასავლეთსა და რუსეთს შორის **„არც ომი, არც მშვიდობის"** მდგომარეობა შენარჩუნდება. კრემლის რეჟიმი დარჩება დასავლეთთან კონფრონტაციის მდგომარეობაში.

საქართველოსთვის ეს რეალობა ცნობილია. ჩვენ უკვე ვცხოვრობთ ოკუპაციის პირობებში და ვიმყოფებით **მუდმივი ჰიბრიდული ზეწოლის ქვეშ** — პოლიტიკურ, საინფორმაციო, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სფეროებში.

უკრაინაში რუსეთის აგრესიამ მძიმედ შეარყია რუსეთის როგორც სამხედრო, ასევე სხვა, ჰიბრიდული ომის წარმოებისათვის საჭირო შესაძლებლობები. კრემლმა ვერ შეძლო დახმარება აღმოეჩინა მისი მოკავშირე ასადის რეჟიმისათვის სირიაში, მადუროსთვის ვენესუელაში და აიათოლა ალი ხამენეისთვის ირანში. ასევე მან ვერ შესძლო ხელი შეეშალა ყარაბახის კონფლიქტის დასრულებისათვის, რომელსაც რუსეთი აღვივებდა და ხელს უწყობდა კონფლიქტის არსებობის სამი ათეული წლის განმავლობაში, აზერბაიჯანსა და სომხეთზე საკუთარი გავლენის შენარჩუნების მიზნით.

3. სომხეთ–აზერბაიჯანის კონფლიქტის დასრულება

რეგიონულ დონეზე სომხეთ–აზერბაიჯანის კონფლიქტის დასრულება წარმოადგენს **ფუნდამენტურ ცვლილებას.** მრავალწლიანი შეიარაღებული დაპირისპირება, რომელიც ათწლეულების მანძილზე სამხრეთ კავკასიაში განსაზღვრავდა დინამიკას და აფერხებდა რეგიონულ თანამშრომლობასა და განვითარებას, დასრულდა. ეს ქმნის ახალ რეგიონულ დინამიკას და შესაძლებლობებს — განსაკუთრებით სტრატეგიული კავშირების, ვაჭრობის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით.

სამხრეთ კავკასია აღარ არის გაყინული სივრცე. ეს ტრანსფორმაცია ქმნის ახალ რეალობასა და უპრეცედენტო შესაძლებლობებს სამივე ქვეყნისათვის.

4. ევროპის სტრატეგიული გამოფხიზლება

დღეს ნათელია, რომ ევროკავშირმა გააცნობიერა ის, რაზეც მრავალი ექსპერტი წლების განმავლობაში საუბრობდა: რუსეთის ექსპანსიონიზმი, თავისუფალი ევროპის მიუღებლობა და აგრესია რეალურია, გრძელვადიანია და კომპრომისებით განეიტრალების პოლიტიკა ვერ იღებს შედეგს. ასევე მკაფიოა, რომ რუსეთის შესაჩერებლედ ევროპის მთავარი იარაღი თავისუფალი სამყაროს სოლიდარობა და ერთიანი პოლიტიკაა. სტრატეგიული პარადიგმის ეს ცვლილება გამოიწვევს ევროპელი მოკავშირეების მიერ მეტი რესურსის მობილიზებას თავდაცვისა და ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ.

ამასთანავე, ევროპელების მიერ ევროკავშირის გაფართოება აღარ აღიქმება მხოლოდ ნორმატიულ ან ტექნოკრატიულ პროცესად. გაფართოება მოიაზრება **გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად** უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის. უკრაინის და მოლდოვის მაგალითი ამას ნათლად ადასტურებს. ამ პროცესის ნაწილი საქართველოც იქნებოდა, რომ არა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების" პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, შესაძლებლობის ფანჯარა საქართველოს ევროკავშირის წევრობისათვის ისევ არსებობს. თუმცა, ეს ფანჯარა ღია დიდი ხნის განმავლობაში ვერ დარჩება.

ძირითადი საფრთხეები და რისკები საქართველოსთვის

1. რუსეთის აგრესიული იმპერიალიზმი და მიმდინარე ოკუპაცია

საქართველოს მთავარი გარე საფრთხე უცვლელია - ესაა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომი. რუსეთის მიზნები საქართველოს მიმართ ნათელი და თანმიმდევრულია: საქართველო იყოს სუსტი, არადემოკრატიული, კორუმპირებული, არასანდო, დასავლეთისგან იზოლირებული ქვეყანა, მისი საზოგადოება კი ფრაგმენტირებული, ვერ განხორციელდეს ინტეგრაცია დასავლურ ინსტიტუტებში.

ამ მიზნების განხორციელებისთვის რუსეთი იყენებს სამხედრო ოკუპაციას და ძალის გამოყენების მუქარას, პროპაგანდისტულ და დეზინფორმაციულ ომს, კორუფციასა და ეკონომიკურ და ფინანსურ ბერკეტებს, სპეცსამსახურების პენეტრაციას საქართველოში მოქმედ ინსტიტუტებში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში აგრესიულ ჩარევას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის შესაძლებლობები, როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური, უკრაინაში ომის გამო საფუძვლიანად შესუსტდა, თუმცა ეს არ უნდა მივიჩნიოთ საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის შესუსტების შესაძლო ფაქტორად.

„ქართული ოცნების" პოლიტიკა არ უწყობს ხელს რუსეთის ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ საქართველოს მედეგობის განმტკიცებას და შესაძლებლობების გაზრდას. ადგილი აქვს საპირისპირო პროცესს. ქვეყნის მზარდი იზოლაცია, რუსეთზე ეკონომიკური, ფინანსური და ენერგეტიკული დამოკიდებულების ზრდა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ნგრევა, ქართული ოცნების ანტიდასავლური პროპაგანდა, საზოგადოების შიგნით შუღლის გაღვივება და პოლარიზაციის წახალისება, ხელისუფლების მიტაცება ასუსტებს ქვეყანას და მოწყვლადს ხდის რუსეთის აგრესიის მიმართ.

2. საქართველოს მზარდი საერთაშორისო იზოლაცია

„ქართული ოცნება" საკუთარი პოლიტიკით და ძალაუფლების ნებისმიერ ფასად შენარჩუნების სურვილით საქართველოს დასავლეთისგან იზოლაციის რეალური საფრთხის წინაშე აყენებს. როგორც ჩანს, ეს **„ქართული ოცნების" რეჟიმის გადაწყვეტილებაა.**

ბოლო წლების პოლიტიკის შედეგად, საქართველო სულ უფრო მეტად აღიქმება პოლიტიკურად არასანდო ქვეყნად, მისი დემოკრატიის უკუსვლის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის, სახელმწიფოს მიტაცებისა და ევროპისგან დაშორების გეზის არჩევის გამო.

შედეგად ქრება პარტნიორების ნდობა, ნადგურდება ქვეყნის რეპუტაცია და იზრდება სტრატეგიული მოწყვლადობა. იზოლაცია არ ქმნის სტაბილურობას — იგი ქმნის დაუცველობას და საქართველოს აგრესორის ადვილ სამიზნედ აქცევს.

3. საქართველოს მედეგობისა და ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციის სისტემური დაზიანება

გარკვეული პერიოდის წინ საქართველო აღიქმებოდა როგორც რეფორმატორი, თავისუფლებისმოყვარე და დასავლეთის სანდო პარტნიორი. დღეს დემოკრატიული უკუსვლის, სამოქალაქო საზოგადოებასა და დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიტაცების გამო, ეს აღქმა აღარ არსებობს.

ეს რეპუტაციული ეროზია უფრო მეტად ასუსტებს შეკავების პოლიტიკის ეფექტურობას, ვიდრე სამხედრო შესაძლებლობების ნებისმიერი დეფიციტი. **საქართველოს შემთხვევაში მშვიდობა და უსაფრთხოება არ ნარჩუნდება დუმილით ან შეგუებით - იგი უნდა შენარჩუნდეს პარტნიორებისადმი სანდოობით, ძლიერი მოკავშირეებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – საზოგადოების მედეგობით, ქვეყნის შესაძლებლობების განვითარებითა და თავისუფლების ხარისხით.**

სტრატეგიულად, საქართველოს ხელში ჩასაგდებად რუსეთს, სამხედრო ძალის გამოყენებამდე, სჭირდება **საქართველოს რეპუტაციის განადგურება, მეგობრებისა და პარტნიორების ჩამოშორება** და შიდა მედეგობისათვის ძირის გამოთხრა - პოლიტიკური პლურალიზმის, ინსტიტუტების, თავისუფალი მედიის, სამოქალაქო საზოგადოების და ქვეყნის ინტელექტუალური და პროფესიული ელიტების დასუსტებით. მიზანი არის საზოგადოების ფრაგმენტაცია, პოლარიზაცია და ნიჰილიზმის გავრცელება, რასაც საბოლოოდ მივყავართ **კლეპტოკრატიულ, ინფორმაციულად კონტროლირებად ავტოკრატიამდე,** რუსეთის მსგავს სახელმწიფო მმართველობის მოდელამდე.

როდესაც სტრატეგიული სექტორები, ფუნდამენტური გადაწყვეტილებები, ან საგარეო პოლიტიკა ყალიბდება **გაუმჭვირვალე, კლანებზე მორგებული გარიგებებით და არა მკაფიო, ეროვნულ ინტერესებზე აგებული გამჭვირვალე სტრატეგიით,** ეს გვაშორებს საერთაშორისო პარტნიორებს და ხელს უწყობს საქართველოსადმი მტრულად განწყობილ ძალებს საკუთარი ამოცანების მიღწევაში.

ასეთი პრაქტიკა აზიანებს საქართველოს სანდოობას, აჩენს საფუძვლიან ეჭვებს მოკავშირეებში და ანგრევს სტრატეგიულ ნდობას. საერთაშორისო პოლიტიკაში აღქმა სწრაფად იქცევა რეალობად - სახელმწიფოები თავს არიდებენ ისეთ სტრატეგიულ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია არასანდო პარტნიორებთან.

მსგავსი პოლიტიკა არ იცავს მშვიდობას, პირიქით, იგი ტოვებს საქართველოს **მოკავშირეების გარეშე, გახლეჩილი საზოგადოებით, გაღრმავებული ელიტური კორუფციით და არასათანადოდ დაფინანსებული თავდაცვის სისტემით**. ეს წარმოადგენს **პირდაპირ საბაბს გარე ზეწოლის გაძლიერებისთვის და, პოტენციურად, რუსეთის განახლებული აგრესიისთვის.**

ასევე შემაშფოთებელია ბოლო წლებში საქართველოს თავდაცვის ხარჯების დინამიკა**.** საქართველოს მიერ თავდაცვაზე გაწეული ხარჯები შეადგენს მშპ-ის დაახლოებით **1.7 – 1.8 პროცენტს**, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება რეგიონის სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს და არ არის არსებული საფრთხეების ადეკვატური. ასევე მწირი და საფრთხეებთან შეუსაბამოა ინვესტიცია რეალურ თავდაცვით შესაძლებლობებში. შესაბამისად, არ შეესაბამება ნატოს სტანდარტებს. ცუდად **დაფინანსებული თავდაცვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს შეკავების ქმედით პოლიტიკას და რეალურ საფრთხეს უქმნის მშვიდობას.**

შესაძლებლობები, რომლებსაც საქართველო ვერ იყენებს

1. ევროკავშირის გაფართოება — ისტორიული შანსი

ევროპაში უმაღლეს დონეზე ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა ნებამ ევროკავშირის გაფართოება გეოპოლიტიკურ იმპერატივად აქცია. პროცესი გასცდა შორეულ, წმინდად ტექნოკრატიულ ჩარჩოებს და ხელშესახებ, სწრაფად მიღწევად მიზნად გარდაიქმნა, რასაც უკრაინისა და მოლდოვის ინტეგრაციის დაჩქარებული ტრაექტორიებიც ცხადყოფს.

საქართველოსთვის ეს ქვეყნის წინაშე მდგარი სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტის განსაკუთრებული, ისტორიული შესაძლებლობაა.

თუმცა, ამ ისტორიული შესაძლებლობით სარგებლობას გამორიცხავს მმართველი რეჟიმი, რომლისთვისაც ძალაუფლების შენარჩუნება უზენაეს პრიორიტეტად იქცა. ევროკავშირის მტრულ სუბიექტად წარმოჩენითა და ინტეგრაციის პროცესის საბოტაჟით, „ქართული ოცნება" საფრთხეს უქმნის ქვეყნის ევროპულ მომავალს — შანსს, რომელიც, ხელიდან გაშვების შემთხვევაში, შესაძლოა, ათწლეულების განმავლობაში აღარ განმეორდეს.

2. სტრატეგიული დაკავშირებადობა (სატრანზიტო პოტენციალი) და რეგიონული თანამშრომლობა

სომხეთ–აზერბაიჯანის მრავალწლიანი შეიარაღებული კონფლიქტის დასრულება სამხრეთ კავკასიისთვის ფუნდამენტური გარდატეხის მომენტია. კონფლიქტმა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში განსაზღვრავდა რეგიონის დინამიკას, გზა დაუთმო ახალ რეალობას, რაც ქმნის ახალ შესაძლებლობებს სტრატეგიული კავშირების, რეგიონული ვაჭრობის, სატრანსპორტო და ენერგეტიკული კორიდორების ეფექტიანობის ზრდისა და პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. სამხრეთ კავკასია აღარ წარმოადგენს გაყინულ სივრცეს – იგი აქტიური ტრანსფორმაციის პროცესშია, რომელიც შეიცავს როგორც გამოწვევებს, ისე უპრეცედენტო შესაძლებლობებს სამივე ქვეყნისთვის.

ამ ახალი რეალობის პირობებში, საქართველო ბუნებრივად უნდა იქცეს დასავლეთთან დამაკავშირებელ საკვანძო ცენტრად (ჰაბად) – როგორც პოლიტიკურად, ისე ინფრასტრუქტურულად. ამის ნაცვლად, ქვეყნის არალეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკა იწვევს დასავლეთისგან ქვეყნის დისტანცირებას, ამცირებს მის სტრატეგიულ ეფექტიანობას და ყინავს, ან გამიზნულად ასუსტებს კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

სტრატეგიული დაკავშირებადობა (strategic connectivity) – სატრანზიტო შესაძლებლობების განვითარება, მხოლოდ სატრანზიტო ან ეკონომიკური კონცეფცია არ არის. იგი წარმოადგენს გეოპოლიტიკურ ჩარჩოს, რომელიც სხვადასხვა სფეროში, ენერგეტიკაში, ინფრასტრუქტურაში, ლოჯისტიკაში, ციფრულ სივრცეში, უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვაში, მრავალგანზომილებიანი კავშირების განვითარებას გულისხმობს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამგვარი კავშირი აძლიერებს ეკონომიკურ განვითარებას, პოლიტიკურ ინტეგრაციასა და სტრატეგიულ პარტნიორობას და, ამავდროულად, ფუნქციონირებს როგორც შეკავების პოლიტიკის მექანიზმი და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მნიშვნელობის განმტკიცების საშუალება. მისი სიმტკიცე პირდაპირ უკავშირდება სუვერენიტეტის გამყარებასა და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანმა აგრესიამ საბოლოოდ დაადასტურა მისი რევიზიონისტული და იმპერიალისტური ბუნება. ეს აგრესიული ქცევა წარმოადგენს გრძელვადიან საფრთხეს და მოითხოვს გრძელვადიან, სტრატეგიულ პასუხებს, მათ შორის ცენტრალური აზიისა და ევროპის დაკავშირების თვალსაზრისით, რუსეთის მიერ კონტროლირებადი სივრცეების გვერდის ავლით.

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სტრატეგიული დაკავშირებადობის სრულფასოვანი ეროვნული პოლიტიკის ჩამოყალიბება. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რკინიგზის მოდერნიზაცია, ციფრული შესაძლებლობების განვითარება და სხვა პერსპექტიული პროექტების განხორციელება, შესაბამისი რეგულაციების, ტარიფებისა და პროცედურების პოლიტიკის შექმნა, ის აუცილებელი ნაბიჯებია, რომელთა გადადგმა საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობასა და წონას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ეს ინიციატივები უნდა განიხილებოდეს როგორც არა მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეწყობა, არამედ გეოპოლიტიკური ინვესტიცია. ამ მიმართულებას ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ღირებულება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში აქტიურად არიან ჩართული და ლიდერობენ ამერიკული და ევროპული კომპანიები. ჩინეთსა და რუსეთს ამ კონცეფციის განვითარების ინტერესი არ გააჩნიათ, რადგან მათ უკვე აქვთ საკუთარი, მათ ინტერესებზე მორგებული ინფრასტრუქტურული ქსელები.

საქართველომ უნდა იკისროს ლიდერობა აღმოსავლეთის დასავლეთთან დამაკავშირებელი რგოლის როლში, მეზობლებთან აქტიური თანამშრომლობით, როგორც პროცესების ხელშემწყობმა და არა პასიურმა დამკვირვებელმა. სტრატეგიული ბუნდოვნება, დემოკრატიული უკუსვლა და საერთაშორისო იზოლაცია აზიანებს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და საფრთხეში აგდებს ქართულ სახელმწიფოს. საქართველოს წინაშე დგას მკაფიო არჩევანი: სუვერენული, ევროპული სახელმწიფო ან მოწყვლადი, ღრმად კორუმპირებული და კრემლის გავლენის ქვეშ მყოფი, რუსული სტილის ინფორმაციული ავტოკრატიით მართული სისტემა.

TRIPP: სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სატრანზიტო კორიდორი (TRIPP) შეერთებული შტატებისთვის წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ამცირებს რუსეთის გავლენას სამხრეთ კავკასიაში და ხელს უწყობს რეგიონულ სტაბილურობას. თუმცა, ამ კორიდორის მიზნების რეალიზაცია და კერძოდ დასავლურ სტანდარტებთან თავსებადი რეგიონული სატრანზიტო-ლოგისტიკური ცენტრის (ჰაბის) ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოსთან, როგორც შავი ზღვისკენ უსაფრთხო გასასვლელთან, ტანდემის შექმნაზე. საქართველოში რუსეთისა და ჩინეთის გავლენის გაზრდის პირობებში, მოსკოვი და პეკინი მიიღებენ შესაძლებლობას შეაფერხონ, ან საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენონ რეგიონის ხსენებული პოტენციალი.

სტრატეგიული მიმართულებები

ზემოჩამოთვლილი მძიმე პოლიტიკური და სტრატეგიული შეცდომების, დაკარგული შესაძლებლობებისა და საფრთხეების უგულებელყოფის უარყოფითი შედეგები უკვე აისახა საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ მდგომარეობასა და ქვეყნის საერთაშორისო პოზიციებზე. ამ უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად, საქართველოს მის ისტორიულ ტრაექტორიაზე დასაბრუნებლად, აუცილებლად მიგვაჩნია ქვემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, რომლებიც სრულ თანხვედრაშია საქართველოს ეროვნულ ინტერსებთან და ჩვენი საზოგადოების მისწრაფებებთან.

> ევროკავშირში დაჩქარებული გაწევრიანება

საჭიროა გახსნილი შესაძლებლობის, ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების შანსის, მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება. ამისათვის აუცილებელია ევროკავშირის პრიორიტეტებთან სრული პოლიტიკური თანხვედრა; უმოკლეს პერიოდში დამოუკიდებელი და გამჭვირვალე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება; პოლიტპატიმრების გათავისუფლება; რეალური რეფორმების გატარება; დემოკრატიული მმართველობითი სისტემის აღდგენისკენ ნაბიჯების გადადგმა; ადამიანის უფლებების პატივისცემა; რუსული პროპაგანდის შეჩერება და თავისუფლების ფასეულობებისადმი ერთგულების დადასტურება – რეალური ინტეგრაციის პოლიტიკის წარმართვა.

> აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენა

აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობა აუცილებელია საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის. მისი შეჩერება საქართველოს დემოკრატიულმა უკუსვლამ, ხელისუფლების ანტიდასავლურმა პროპაგანდამ და სტრატეგიული კურსის ცვლილებამ გამოიწვია. კიდევ ერთხელ, ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, პოლიტპატიმრების გათავისუფლება, დემოკრატიული კურსის აღდგენა და რეპრესიული კანონმდებლობის გაუქმება, პირველი ნაბიჯია ამ პარტნიორობის აღდგენისაკენ.

> საქართველოს რეპუტაციის აღდგენა

საქართველო კვლავ უნდა აღიქმებოდეს როგორც თავისუფლებისმოყვარე, დემოკრატიული, სწრაფად განვითარებადი და პროგნოზირებადი ქვეყანა. ეს არის უსაფრთხოების საკვანძო რესურსი და არა უბრალოდ ზოგადი იმიჯის საკითხი.

> რეგიონული თანამშრომლობა და სტრატეგიული დაკავშირებადობა (STRATEGIC CONNECTIVITY) როგორც ეროვნული პოლიტიკა

საქართველომ უნდა ითავოს რეგიონისა და დასავლეთის პოლიტიკური და ინფრასტრუქტურული ინტეგრაციის პროცესი. თბილისი, მეზობელ სახელმწიფოებთან აქტიური თანამშრომლობით, პასიური დამკვირვებლის ნაცვლად, ამ პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალად უნდა იქცეს. ჩვენი ამოცანაა რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა მყარი სტრატეგიული ურთიერთდამოკიდებულების გზით.

რაც მთავარია, იგი უნდა იყოს დასავლეთთან დამაკავშირებელი, როგორც ინფრასტრუქტურითა და რეგულაციებით, ასევე თავისუფლების ხარისხითა და ინსტიტუტებით. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, რკინიგზის მოდერნიზაცია, ადეკვატური რეგულაციები, ტარიფები და პროცედურები, აშშ-ისა და ევროპის კომპანიების აქტიური ჩართულობა წარმოადგენს **გეოპოლიტიკურ ინვესტიციებს,** და არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

> თავდაცვის გონივრული გაძლიერება

აუცილებელია თავდაცვის ხარჯების გამოწვევების შესაბამისი ზრდა და მკაფიო პრიორიტეტების დასახვა: პროფესიული სამხედრო განათლება, მართვისა და კონტროლის სისტემები, საჰაერო თავდაცვა, მობილობა, გამძლეობა და უსაფრთხოების სექტორის ყოვლისმომცველი რეფორმა. უკრაინამ ნათლად აჩვენა, რომ პარტნიორების მიერ მხარდაჭერილი და **მომზადებული საზოგადოება** აგრესიას ყველაზე ეფექტურად უმკლავდება.

ბოლოსიტყვა

არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად, საქართველოს საერთაშორისო დღის წესრიგში დაბრუნება; ევროპის კავშირში ინტეგრაციის თვალსაზრისით გახსნილი იშვიათი შესალებლობის მაქსიმალურად გამოყენება და გრძელვადიან პერიოდში საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით როგორც არსებულ, ასევე, ევროპული ქვეყნების მიერ ინიცირებულ, ახალ უსაფრთხეობის ფორმატებში აქტიურად მონაწილეობა. საქართველომ, რაც შეიძლება სწრაფად, უნდა დაიბრუნოს რეგიონში მოწინავე, ევროპული ღირებულების მქონე ქვეყნის სტატუსი; აღადგინოს სტრატეგიული ურთიერთობები ევროკავშირთან, ევროპაში საქართველოს უპირობოდ მხარდამჭერ ქვეყნებთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეგიონში სწრაფად ცვალებადი რეალობის მიუხედავად, საქართველოს როლი უსაფრთხოების თვალსაზრისით ყოველთვის გადამწყვეტი იქნება. რასაკვირველია, ამას თან უნდა ახლდეს ქვეყნის შიგნით საზოგადოების სრული კონსოლიდაცია, საფუძვლიანი რეფორმების სწრაფად განხორციელება და მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება.

დოკუმენტზე მუშაობდნენ:
დავით სიხარულიძე, გიგი გიგიაძე, მიხეილ დარჩიაშვილი, მალხაზ მიქელაძე, გიორგი მუჩაიძე

EPRC

Economic Policy Research Center

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი